



პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი

წინამდებარე გზამკვლევი აღწერს კურსკულუმის რუკის შედგენის მეთოდებსა და შესაბამის მაგალითებს, გასაზღვრავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის შედგენის პრინციპებსა და ფორმებს, ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის მაგალითებს. გზამკვლევაში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები და მასში ჩართული პირები

EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

როგორ შევადგინოთ კურიკულუმის რუკა (სწავლის შედეგების რუკა)?

❖ რა არის სტუდენტის სწავლის შედეგები (Student Learning Outcomes – SLOs) ?

სტუდენტის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

□ რა არის კურიკულუმის რუკა (სწავლის შედეგების რუკა)?

კურიკულუმის რუკის შედგენა გვებმარება იმის დადგენაში, თუ რამდენად იფარება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგები.

კურიკულუმის რუკის მეშვეობით ნათლად ჩანს კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმსა და სწავლის შედეგებს შორის. მათი მეშვეობით შესაძლებელია მოვახდინოთ იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომელიც ეხმარება სტუდენტს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, ან/და იმ სასწავლო კურსებისა, რომელიც ზედმეტია საგანმანათლებლო პროგრამაში.

კურიკულუმის რუკა წარმოადგენს **პროგრამის შინაარსის ანალიზის ინსტრუმენტს** და გვებმარება, მთლიანობაში **დავინახოთ პროგრამის სტრუქტურა**.

კურიკულუმის რუკა ასევე გვებმარება შევადგინოთ **სწავლის შედეგების შეფასების გეგმა** და განვსაზღვროთ, თუ როდის და რა შეფასების მეთოდით მოხდება ამა თუ იმ სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება.

კურიკულუმის რუკა თან უნდა ერთვოდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ყველა საგანმანათლებლო პროგრამას.

📌 როგორ შევადგინოთ კურიკულუმის რუკა?

უნდა ჩამოიწეროს პროგრამის სწავლის შედეგები ვერტიკალურ ღერძზე, მარცხენა მხარეს, ხოლო სასწავლო კურსები გაწეროს ჰორიზონტალურ ღერძზე, ცხრილის ზედა ნაწილში. შესაძლოა გაკეთდეს მთლიანი პროგრამის კურიკულუმის რუკა, ისევე როგორც ცალკეული რუკა კვალიფიკაციების მიხედვით .

იხ. ცხრილი 1

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4	კურსი 5	კურსი 6
სშ #1						
სშ#2						
სშ#3						
სშ#4						
სშ#5						

თითოეული სწავლის შედეგისთვის, მონიშნულ უნდა იქნას ის სასწავლო კურსები, რომელიც ემსახურება სტუდენტის მიერ აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევას. თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა იყოს არანაკლებ 2 სასწავლო კურსი. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის სწავლის შედეგები/კურიკულუმი გადასახედია.

იხ. ცხრილი 2

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4	კურსი 5	კურსი 6
სშ #1	X		X		X	
სშ#2		X		X		
სშ#3	X	X	X			
სშ#4		X		X		X
სშ#5	X	X				

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი

მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების ერთმანეთთან დაკავშირება, შესაძლოა, აღნიშნოს, თუ რა დონით არის სწავლის შედეგი მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან. კერძოდ, **I = Introduced (გაცნობა);**

P = Practiced (გადრმავება) M = Mastered (განმტკიცება)

იხ. ცხრილი 3

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4	კურსი 5	კურსი 6
სშ #1	I		P		M	
სშ#2		I		P/M		
სშ#3	I	P	P/M			
სშ#4		I		P		M
სშ#5	I	P/M				

სწავლის შედეგებს შეიძლება ერთ სასწავლო კურსზე, ერთზე მეტი დონე მიესადაგებოდეს (მაგ. I/P; P/M).

კურსკულის რუკის შედგენის დასკვნითი ფაზა არის პროგრამის **სწავლის შედეგის შეფასების მეთოდის განსაზღვრა**, პროგრამულ დონეზე (სადაც სწავლის შედეგი M დონეზეა მიღწეული).

მაგ. იხ. ცხრილი 4.

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4	კურსი 5	კურსი 6
სშ #1	I		P		M წერითი გამოცდა	
სშ#2		I		P/M ლაბ. სამუშაო		
სშ#3	I	P	P/M ესსე			
სშ#4		I		P		M კვლევითი ნაშრომი
სშ#5	I	P/M ტესტი				

▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

გარდა იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო კურსის შედეგებთან, მნიშვნელოვანია **პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს**. პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად უნდა შემუშავდეს **მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა**, სადაც დეტალურად უნდა აისახოს პროგრამის მიზნები როგორც შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. ამსითავის უნდა ჩამოიწეროს **პროგრამის მიზნები ვერტიკალურ ღერძზე**, მარცხენა მხარეს, ხოლო **პროგრამის სწავლის შედეგები** უნდა გაიწეროს **ჰორიზონტალურ ღერძზე**, ცხრილის ზედა ნაწილში.

იხ.ცრილი 5.

(განმარტება: „**პ მ**“ - პროგრამის მიზანი „**პ ს შ**“ - პროგრამის სწავლის შედეგი)

	პსშ 1	პსშ 2	პსშ 3	პსშ 4	პსშ 5	პსშ 6
პმ #1	X		X		X	
პმ#2		X		X		
პმ#3	X	X	X			
პმ#4		X		X		X
პმ#5	X	X				

როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ?

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისასთვის გადამეყვები მნშვნელობა აქვს **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რეალევანტური გეგმის** შედგენას, აღნიშნული გეგმის თანმიმდევრული და სრულფასოვანი იმპლემენტაცია არის დასკვნითი ფაზა სწავლის შედეგების შეფასების და უმთვარესი ინდიკატორი იმის გასზომად არის თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები ადეკვატური არა მხოლოდ მასში შემავალ სასწავლო კურსებთან მიმართებით, არამედ პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და უნდა ადასტურებდეს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა უნდა მოიცავდეს: სწავლის შედეგის დასახელებას, მის შესაფასებლად განსაზღვრულ მეთოდს (პირდაპირი და არაპირდაპირი), შეფასების დროსა და სამიზენ ნიშნულებს:

მაგ. იხ.ცხრილი 6

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	დრო	სამიზენ ნიშნულები
ს.შ 1	პირდაპირი - გამოცდა ტესტი თეორიული საკითხი ღია კითხვები		
	არაპირდაპირი - კურსდამთავრებულთა გამოკითხვა		

○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები და მასში
ჩართული პირები

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პროგრამის განვითარების ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით. პროგრამის განვითარების ჯგუფში ჩართულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამაში ჩართული პერსონალი და დაინტერესებული მხარეები. პროგრამის განვითარების ჯგუფი არის პროგრამის აკრედიტაციის ვადით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელს შამადგენლობაც მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკასა და მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების საშუალებას იძლევა. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამოყენებული უნდა იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

პროგრამის განვითარების ჯგუფი, პროგრამის კურიკულუმის რუკის საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას (იხ. ცხრილი 6) რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის იმპლემენტაციაში ჩართულია უნივერსიტეტის შესაბამისი სრუქტურული ერთეულები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გამომდინარე აქედან რეკომენდირებულია შემუშავებული იქნა გეგმის იმპლემენტაციის ჩარჩო.

მაგ. იხ.ცხრილი 7.

შესაფასებელი სწავლის შედეგი	განმახორციელებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და განხორციელების მეთოდი	შეფასების შედეგებით დაინტერესებული მხარეები

შეფასების უკუკავშირი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას ხდება სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის სამიზნე ნიშნულებთან დადარება და შედეგების ანალიზი. შეფასების შედეგები (ანგარიში) ფაკულტეტისათვის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის მიწოდება. მიწოდებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი და ფაკულტეტის/წარმომადგენლობით საჭოზე განხილვა და განხილვის შედეგად შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და ჩარევების განხორციელება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებზე რეაგირებისა და მისი გამოყენების პროცესი შესაძლოა გამოვსახოთ შემდეგი სქემის სახით:

